

**ცაგერის მუნიციპალიტეტის სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის  
თავმჯდომარის 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში**

---

სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია შეიქმნა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად. კომისია შეიქმნა მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით.

კომისია აკონტროლებს და მუდმივ ყურადღებას აქცევს საკრებულოს წევრთა მიერ რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას. კომისიის მიერ განისაზღვრა საკრებულოს კომისიებში საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, ამ მხრივ გატარებული მუშაობის შედეგად მიღწეულია, რომ საკრებულოს წევრთა აბსოლიტური უმრავლესობა, გაერთიანებულია და მონაწილეობს ერთი ან ორ კომისიის შემადგენლობაში.

სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ მოამზადა ფრაქციის რეგისტრაციისათვის საჭირო მასალები, რომელიც წარდგენილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე. მიღებული დასკვნები და გადაწყვეტილებები იყო დადებითი. შესაბამისად საკრებულოში არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით ფუნქციონირება დაიწყო ხუთმა ფრაქციამ, რომელიც ფუნქციონირებს დღემდე.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (თავმჯდომარე: კ.მუშკუდიანი), ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ (თავმჯ. გ.გოგებაშვილი), ფრაქცია „ერთობა“ (თავმჯ.ა.მახარობლიძე), ფრაქცია „ევროპული საქართველო-მომრაობა თავისუფლებისათვის“ (თავმჯ.გ.გურგუჩიანი), ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (თავმჯ. ფ.სვანიძე).

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე და 38-ე მუხლებში შეტანილი ცვლილების შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემავალ ფრაქციებს დაემატათ ფრაქციის მოადგილის თანამდებობები. ხუთივე ფრაქციის მიერ ჩატარებულ იქნა ფრაქციის სხდომები (შესაბამისი ოქმები) და კანონმდებლობის სრული დაცვით აირჩიეს ფრაქციის თავმჯდომარის 6 მოადგილე.

სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია რეგულარულად იწვევდა კომისიის სხდომებს. ადგენდა სამუშაო გეგმებს და ასრულებდა ამ გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მიმდინარე წელს ჩატარდა კომისიის თოთხმეტი სხდომა. (სათანადო ოქმებით). სხდომაზე განხილული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა „ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების, მოვალეობის, საქმიანობის წესისა და საკრებულოს წევრის სტატუსთან თანამდებობრივი შეუთავსებლობის მდგომარეობის შესახებ“. კომისიამ აგრეთვე განიხილა საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრის დასწრების საკითხი. საკრებულოს წევრებს „ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 თებერვლის #5 დადგენილებით განისაზღვრა ყოველთვიური ხარჯის მაქსიმალური ოდენობა, რაც უწყობს ხელს მათ აქტიურად ჩართვას კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში, ასევე გააუმჯობესა საკრებულოს სხდომებზე მათი დასწრების მდგომარეობა, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ზოგიერთი მუხლი კვლავ შეუსრულებელი რჩება. კვლავ ვერ ხერხდება

მოსახლეობასთან შეხვედრები დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, ვერ დაინერგა პრაქტიკაში გამსვლელი სხდომები, ღია კარის დღე და ასე შემდეგ.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 88-ე მუხლი თანამდებობის პირს, საკრებულოს წევრს ავალდებულებს წელიწადში ერთხელ წარდგეს მოსახლეობის წინაშე ანგარიშით გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიშგება თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი და კანონით დაწესებული ვალდებულებაა. კანონის თანახმად, მოქალაქეებს უფლება აქვთ არა მარტო დაესწრონ ანგარიშის წარდგენის პროცესს, არამედ დასვან კითხვები, გამოთქვან შენიშვნები და მოახდინონ ანგარიშის შეფასებაც. ჩემი აზრით ასეთი ანგარიში არ უნდა იფერგლებოდეს გაწეული მუშაობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციით და მშრალი ციფრებით, არამედ ის უნდა ასახავდეს შესასრულებელ ვალდებულებებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს, ისევე როგორც სამომავლო გეგმებს. მოსახლეობის უკმაყოფილება, რომელსაც ისინი გამოხატავენ შეხვედრების დროს მათი ნაკლებინფორმირებულობის შედეგია. ალბად დამეთანხმებით, რომ ამ ინფორმაციის მიტანა თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობა და კანონიერი ვალდებულებაა.

სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრების აზრით მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების პრიორიტეტების შერჩევა უნდა ხდებოდეს მოსახლეობასთან და თითოეული პროექტი უნდა იყოს საჯარო. ეს მიდგომა დასანერგია, რაც შეამცირებს უკმაყოფილებას და განცდას იმისა, რომ საქმე სრულყოფილად არ შესრულდა.

კომისიის საქმიანობის განხილვის დროს დაისახა სხვადასხვა ღონისძიებები, რომლის შესრულებაც მოხდება მომავალ წელს. გვაქვს აგრეთვე გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება, რომელიც კიდევ უფრო გაზრდის და აამაღლებს საკრებულოს წევრთა საქმიანობის მნიშვნელობას მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია მომავალში კიდევ უფრო სრულყოფილსა და ნაყოფიერს გახდის თავის საქმიანობას.